შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (10.003)

27 ნოემბერი-4 დეკემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბიუჯეტის 9 თვის ანგარიში-საკრებულოს!

რატომ ვერ გაიხარჯა ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული თანხა?

22 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში.

ასევე, ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის №13 დადგენილებაში.

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს და დამაკმაყოფილებლად შეაფასეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ელენე ბაიაშვილმა აღნიშნა, „9 თვეში მუნიციპალიტეტის შემოსულობების გეგმა შესრულდა 51, 9 %-ით, ხოლო გადასახდელების გეგმა 84 %-ით.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების 2021 წლის სამი კვარტლის გეგმა, ფაქტიურად, შესრულებულია 120, 3%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 52000 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 6253,5 ათასი ლარი. მათ შორის გადასახადების გეგმა შესრულებულია 51, 9%-ით. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი გეგმით იყო 1 800 000 და შემოსულია 191 000 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის გეგმა შესრულებულია 10, 7 %-ით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გეგმა შესრულებულია 39, 4 %-ით- დაგეგმილი 1 500 000ლარის ნაცვლად შემოსულია 591 600 ლარი.“

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ჯემალ კოტაშვილის განცხადებით, „არანაირი შეფერხება არ ყოფილა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის არცერთ სფეროში- თავის დროზე და შეუფერხებლად ხდებოდა შრომის ანაზღაურების გაცემა, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის, ასევე ინფრასტრუქტურული შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორებისას და სხვა. ამიტომ, კომისიის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

რატომ ვერ გაიხარჯა ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული თანხა?

სოციალური ჯანდაცვის პროგრამებში გეგმა იყო 825 900 ლარი, გახარჯულია 572 100 ლარი. რაც, დაახლოებით, 300 000 ლარით ნაკლებია, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ადგილობრივ ბიუჯეტში.

ანგარიშის მოსმენისას კითხვა საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა დასვა. ის დაინტერესდა იმ მიზეზით, რის გამოც გათვალისწინებული თანხის ათვისება ვერ მოხერხდა. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განმარტა, მიზეზი პანდემიაა. „ ახალი კორონავირუსის გამო საქართველოს თითქმის ყველა საავადმყოფო გადაკეთებულია კოვიდცენტრებად და გეგმიური ოპერაციებისა და კვლევების დიდი ნაწილი შეჩერებულია. ამას თან ერთვის ის ფაქტორიც, რომ ოპერაციების უმრავლესობას აფინანსებს ჯანდაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა კი მინიმალურია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქე შეუფერხებლად სარგებლობს სოციალური დახმარების იმ პაკეტით, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს“ -განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

რა საპილოტე პროექტები განხორციელდება დედოფლისწყაროში

სხდომაზე საკრებულომ მოიწონა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტები.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის დავით ფხოველიშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს წარდგენილი აქვს 2 პროექტი, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი. ერთი პროექტია ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

„გარდა იმისა, რომ ღონისძიებების ჩატარებისას ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში მუდმივი პრობლემა იქმნება და გვიწევს გზის მოხრეშვა, ეს მაინც დროებითი ღონისძიებაა. ამ ფაქტორს ემატება ისიც, რომ მიმდებარედ კერძო პირმა გააკეთა სასტუმრო, რომელიც ტურიზმის განვითარებას ემსახურება. ამიტომ მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ტურიზმის განვითარებას ხელი შეუწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით.

წელს დამთავრდა ოზაანის ამაღლების ტაძართან მისასვლელი გზის 600 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. ესეც ტურისტული ობიექტი გახლავთ. აქ გზა იყოფა და მეორე გზა მიდის სამების სახელობის ტაძრისაკენ. წარდგენილი პროექტის შესაბამისად, დაფინანსების შემთხვევაში, გზის მოწყობასთან ერთად მოწესრიგდება მთლიანი ინფრასტრუქტურა, მოეწყობა ავტოსადგომი და საპიკნიკე ადგილები.

ეს ორი პროექტია წარდგენილი. ამ ორიდან კომისია ერთ მათგანზე შეაჩერებს არჩევანს და დააფინანსებს.

სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს თანხმობა მიეცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა N 82, კორპუსი N14-ის პირველ სართულზე მდებარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 147,40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ძირითადი ქონების პრივატიზებაზე.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის მერის უფლებამოსილების დაწყების შესახებ.

ქედების ზონის ბაღების გაზიფიცირება მოხდება

საკრებულოს სხდომაზე ზემო ქედის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნიკოლოზ ხუციშვილმა სოფლის ბაღების გაზიფიცირების საკითხი დააყენა. მისი განცხადებით, სოფელში ბუნებრივი აირი უკვე შეყვანილია და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გათბობის თანამედროვე სისტემა უნდა დამონტაჟდეს. მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ქედების ზონის ყველა ბაღის გაზიფიცირება დაგეგმილია და უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოები.

ინგა შიოლაშვილი

ძველი საკრებულოები ბიუჯეტს იმის გამო ამტკიცებენ, რომ დრო არ დაიკარგოს - 2022 წელს ქვეყანას არ აქვს ფუფუნება, რომ ერთი წამიც კი დაკარგოს

ძველი საკრებულოები ბიუჯეტს იმის გამო ამტკიცებენ, რომ დრო არ დაიკარგოს – 2022 წელს ქვეყანას არ აქვს ფუფუნება, რომ ერთი წამიც კი დაკარგოს, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც გათუმის და ზუგდიდის საკრებულოებში მომხდარ ინციდენტებს გამოეხმაურა.როგორც დავითაშვილი განმარტავს, თითოეულ მუნიციპალიტეტს ადგილზე ბიუჯეტი იმისთვის სჭირდება, რომ მერიამ შეძლოს ხალხის საჭიროებისთვის 24 საათი იმუშაოს.

“იურიდიულად ეს პროცესი გამართულია. ახალი საკრებულოები მუშაობას შეუდგებიან მხოლოდ 3 დეკემბრიდან, შესაბამისად, ძველი საკრებულოები ამ მომენტში კარგავენ თავის უფლებამოსილებას. ძველი საკრებულოები ბიუჯეტს იმის გამო ამტკიცებენ, რომ დრო არ დაიკარგოს. პრემიერმა განაცხადა, რომ ქვეყნის აღმშენებლობის კიდევ უფრო მაღალი ტემპი უნდა გვქონდეს. 2022 წელს ქვეყანას არ აქვს ფუფუნება, რომ ერთი წამიც კი დაკარგოს. თითოეულ მუნიციპალიტეტს ადგილზე სჭირდება ბიუჯეტი, იმისთვის, რომ მერიამ შეძლოს ხალხის საჭიროებისთვის 24 საათი იმუშაოს”- აღნიშნავს დავითაშვილი.

ცნობისთვის, ბათუმისა და ზუგდიდის საკრებულოებმა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი ოპოზიციის პროტესტის ფონზე დაამტკიცეს. ბიუჯეტი, საკრებულოების ახალი შემადგენლობის შეკრებამდე, ძველმა შემადგენლობამ გაიტანა კენჭისყრაზე, რაც ოპოზიციის შეფასებით, ამომრჩევლის არჩევანის ფეხქვეშ გათელვაა.

ზუგდიდის განვითარებას და აქ მცხოვრები მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისების მიღებას ვერ შეაჩერებს 30-მდე ადამიანი, რომელსაც ვიწრო პოლიტიკური ინტერესი აქვს, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ჭეჟიამ. მან კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება ბიუჯეტის დამტკიცების ვადების შესახებ და აღნიშნა, რომ პროცედურა კანონის დაცვით წარიმართა.

„დღეს, მოქმედმა საკრებულომ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც ჩვენი ქალაქის და მისი განვითარების მთავარი ფინანსური დოკუმენტია. ჩვენ დავამტკიცეთ ადგილობრივი ბიუჯეტი, რათა ოპოზიციაში მყოფ დესტრუქციულ ძალებს ბიუჯეტის ჩაგდების, შესაბამისად, მუნიციპალური სამსახურების მუშაობის, ინფრასტრუქტურული პროექტების გაჩერებისა და ჩვენს ქალაქებსა თუ სოფლებში განვითარების შეწყვეტის შესაძლებლობა არ მიეცეთ.

დიახ! - ეს არის ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს და სრულ თანხვედრაშია საქართველოს კონსტიტუციასა თუ ნებისმიერ საკანონმდებლო ჩარჩოსთან!

დღეს დესტრუქციული ოპოზიციური ძალები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ბიუჯეტის მიღებისთვის, თუმცა, ეს არ გამოუვიდათ, ზუგდიდის განვითარებას და აქ მცხოვრები მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისების მიღებას ვერ შეაჩერებს ის 30-მდე ადამიანი, რომელსაც ვიწრო პოლიტიკური ინტერესი აქვს და ჩვენი მუნიციპალიტეტის გაჩერება სურს. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახლადარჩეული საკრებულოების პირველი სხდომა 3 დეკემბერს ჩანიშნა. მანამდე კი მოქმედი საკრებულოები არიან უფლებამოსილნი“, - განაცხადა ბესიკ ჭეჟიამ.

ოპოზიციური პარტიის დეპუტატებისა და მათი მხარდამჭერების პროტესტის მიუხედავად, ძველი მოწვევის საკრებულომ მომავალი წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. სიტუაცია საკრებულოს შენობასა და მის გარეთ რამდენიმეჯერ დაიძაბა, უფრო მეტიც, პოლიციამ ორი მოქალაქე დააკავა.

წალენჯიხის მერის გია ხარჩილავას განცხადებით, “ქართულ ოცნებას” ბიუჯეტი პარტიის ფინანსურ წყაროდ მიაჩნია. როგორც ხარჩილავამ ბათუმსა და ზუგდიდში ბიუჯეტების დამტკიცებასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე ჟურნალისტებს განუცხადა, ეს საკითხი ბიუჯეტის დამტკიცების პროცესს სცილდება.-

“ის, რაც ხდება ბათუმსა და ზუგდიდში, ფაქტობრივად სცილდება ბიუჯეტის ჩვეულებრივი დამტკიცების პროცესს და ძალიან გლობალურ შეფერილობას იღებს. „ქართულ ოცნებას” ბიუჯეტი მიაჩნია პარტიულ ბიუჯეტად, პარტიული ფინანსების წყაროდ და მას არ ემეტება, რომ ეს საკითხი ხალხმა გადაწყვიტოს. სწორედ ეს პოლიტიკური კონფლიქტი მიმდინარეობს დღეს ხალხსა და „ქართულ ოცნებას” შორის, ასე მყარდება უზურპაცია და დიქტატურა ქვეყანაში”,- განაცხადა გია ხარჩილავამ.

სასურსათო მარაგებს საფრთხე არ ემუქრება

სასურსათო მარაგებს საფრთხე არ ემუქრება, - ამის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც დავითაშვილი განმარტავს, საქართველოში ბოლო თვეში 30 ათას ტონაზე მეტი ხორბალი შემოვიდა.

„სასურსათო მარაგებს საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ მუდმივად ვაწარმოებთ ყველაზე კრიტიკული სასურსათო მარაგების მონიტორინგს. ჩვენ ქვეყანაში მუდმივად გვაქვს 2 თვეზე მეტი ხორბლის მარაგი. ეს არის საერთაშორისო რეკომენდაცია. საქართველოში ბოლო თვეში 30 ათას ტონაზე მეტი ხორბალი შემოვიდა. სასურსათო მარაგების კუთხით საფრთხის პრობლემა არ არის”,- აღნიშნავს დავითაშვილი.

მართვის მოწმობის აღება, გართულებასთან ერთად, ძალიან ძვირდება

საქართველოში მართვის მოწმობის აღება გართულდება და თან გაძვირდება. მომავალი წლიდან მოქალაქეებს მოწმობის ასაღებად, მინიმუმ 90 ლარით მეტი თანხის გადახდა მოუწევთ. რეალურად კი სხვაობამ შეიძლება 200-300 ლარი შეადგინოს. მიზეზი ახალი კანონია, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე დაამტკიცა.ახალი ნორმატიული აქტი ძალაში 2022 წლის 25 აპრილიდან შევა. სწორედ აღნიშნული თარიღიდან, მართვის მოწმობის გამოცდას ქუჩაში მართვის კომპონენტი ემატება, გადასახადი კი 90 ლარი იქნება, რომელიც მხოლოდ ერთჯერადი ჩაბარებისთვის იქნება საკმარისი. როგორც მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე იმედა მაკასარაშვილმა განაცხადა, არ იცვლება თეორიული გამოცდის ჩაბარების ღირებულება და ის იგივე — 40 ლარი იქნება. “დახურული მოედნისთვის და თეორიული გამოცდის საფასური არ იცვლება. კანდიდატი თეორიული გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეძლებს 5 უფასო გასვლას დახურულ მოედანზე და ამ კუთხით შეზღუდვა არ იქნება იმ საფასურში, რასაც დღეს იხდის. ქალაქის პირობებში კი, საფასური, როგორც კანონში არის მითითებული, “ბ” და “ბე” კატეგორიისათვის შეადგენს 90 ლარს ერთჯერადად გასვლაზე”, - განაცხადა იმედა მაკასარაშვილმა. გამოდის, რომ მომავალი წლიდან მართვის მოწმობის აღების მსურველს იმაზე გაცილებით მეტის გადახდა მოუწევს, ვიდრე დღეს იხდიან. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური კუთხით ეს რთული იქნება, სფეროს სპეციალისტები გადაწყვეტილებას მაინც მიესალმებიან. საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს მევლუდ მელაძეს დაგვიანებულადაც კი მიაჩნია კანონის ამოქმედება. მისი აზრით, შესამუშავებელია მეორე ეტაპი, რომელიც სკოლების რეგულირებას, საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას და ლიცენზირებას შეეხება.

“სწორი კი არა, ცოტა დაგვიანებულიცაა. ეს გადაწყვეტილება მიღებული წლების წინაც უნდა ყოფილიყო. ახლა არსებული გამოცდები რეალურად თავის მოტყუებაა, ისწავლო მხოლოდ გამოცდის ჩაბარება და არა ავტმობილის მართვა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი რისკია. ვინც დღეს ქუჩაში მოძრაობს, ყველა თვითნასწავლია და მანქანის ტარება მართვის მოწმობის აღების შემდეგ ისწავლეს. ზოგადად, მართვის მოწმობა ადასტურებს კვალიფიკაციას. ადამიანს ეს კვალიფიკაცია რომ დაუდასტურდეს, ამისთვის მან მინიმუმ, რეალურ პირობებში მანქანის გატარება უნდა შეძლოს, ამიტომ, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას და ეს პირველი ნაწილია, რაც უნდა მოხდეს. მეორე ეტაპზე, ამას უნდა მოჰყვეს სკოლების რეგულირება, საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, რასაც აბსოლუტურად ყველა სკოლა და მათი ლიცენზირება დაემორჩილება. ახალი გადაწყვეტილება ავტოსკოლების დონესაც აწევს. თუ სკოლამ ადამიანს შესაბამისი სწავლება ვერ შესთავაზა, ის ავტომატურად ჩაიძირება. განათლების სამინისტრომაც ლიცენზირებების თემა თავის თავზე უნდა აიღოს, რადგან აქამდე ეს უწყება იძახდა, რომ საგზაო უსაფრთხოებაში არაფერ შუაში არ არის, რეალურად კი, არის. შეიძლება ახლა ცუდად ჟღერდეს, რადგან მე თავად წარმოვადგენ საავტომობილო ფედერაციას, მაგრამ, ალბათ, ფედერაცია უნდა იყოს ის ორგანო, რომელიც გადაამზადებს მასწავლებლებს და გასცემს ლიცენზიას”, - განაცხადა მელაძემ და დასძინა, რომ „მართალია გადაწყვეტილება ფინანსურად დისკომფორტს შეუქმნის მოსახლეობას, მაგრამ ღირებულება ადეკვატურზე უფრო ნაკლებია, ვიდრე შეიძლებოდა”.

ახლად დამტკიცებულ კანონპროექტს დარგის კიდევ ერთი სპეციალისტი, ეკა ლალიაშვილი მიესალმება და ისიც თვლის, რომ ცვლილებების შემუშავება კიდევ საჭიროა. “დიდი ხანია ამ ცვლილებას ველოდით. ეს უფრო მეტ გარანტიას მოგვცემს, რომ მართვის მოწმობის აღების მსურველები მეტად იქნებიან მომზადებულები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ცვლილებები გასაგრძელებელია. ძალიან მნიშვნელოვანია, ავტოსკოლების ლიცენზირება. თეორიული სწავლება დღეს გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს და ეს უნდა აღმოიფხვრას, რეალურად უნდა მოვამზადოთ ჩვენი მძღოლები. არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ავტოსკოლაში ისწავლოს ადამიანმა. შესაძლოა, ოჯახის წევრმა შეასწავლოს, ამიტომ ჯერჯერობით დაზუსტებით ვერ გეტყვით, რომ ახალი კანონის ძალაში შემოსვლის შემდეგ, ავტოსკოლებში მიმართვიანობა გაიზრდება, თუ არა. სკოლების უმეტესობა რომ კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული იყოს და იქ შესაბამისი გამოცდილება არსებობდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, გაიზრდება”, - განაცხადა ეკა ლალიაშვილმა და დასძინა, რომ ერთჯერადად 90 ლარის გადახდა ერთი მხრივ ფინანსურად რთულია, მაგრამ მეორე კუთხით, ამ გარემოების გათვალისწინებით, ადამიანები უფრო მეტად მოემზადებიან.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა დაასუფთავეს

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა ჩაერთო პროექტში „ დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, რომლის ფარგლებშიც დასუფთავდა სკოლის ეზო.

”დავიცვათ საქართველოს სისუფთავე”, შეიქმნა სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერთა, პროფესიონალთა, გარემოს დაცვის აქტივისტთა და მოხალისეთა გაერთიანების ბაზაზე, რომელიც 2015 წლიდან მოყოლებული აქტიურად იყო ჩართული გარემოსდაცვით საქმიანობაში.

კერძოდ მათი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო პროექტთან „დავასუფთაოთ საქართველო - ფაზა III“, რომლის მიზანი იყო გარემოს დაცვა და მასზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირება ნარჩენების მართვის გაუმჯობესების და მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაღრმავების გზით.

ახალგაზრდა ფრისტაილერი დედოფლისწყაროდან

დედოფლისწყაროელი ილია ცოფურიშვილი “ნიჭიერის” მეორე ტურში გადავიდა. შთამგეჭდავი ნომრით მან ჟიურის წევრების მოხიბლვა შეძლო. ილია წარმოშობით სოფელ სამრეკლოდაა. მის შესახებ წერდა გაზეთი “შირაქიც”.

ფეხბურთიდან დაწყებულმა სპორტულმა ცხოვრებამ სახე იცვალა და ფრაისტაილში გადაინაცვლა.

ილია ცოფურიშვილმა თავისი გამოსვლა მეგობარს-ლაშა სახეჩიძეს მიუძღვნა, რომელიც უგედური შემთხვევის შედეგად დაშავდა და 5 თვეა, სიკვდილს ებრძვის. „ის კომაშია და სიცოცხლისათვის იბრძვის. მისი მკურნალობა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რომლის საშუალებაც მის ოჯახს არ აქვს. მისი მეგობრები პერმანენტულად ვატარებთ საქველმოქმედო წარმოდგენებს და ხალხს ვთხოვთ, დაეხმარნენ ლაშას.“ ნიჭიერში“ მოსვლაც ამიტომ გადავწყვიტე-მინდა, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინო ხმა და ყველას ვთხოვო, დაეხმარეთ ლაშას!“

ილია ცოფურიშვილი: „სპორტული ცხოვრება ყოველთვის მომწონდა, თავდაპირველად ფეხბურთელი ვიყავი. ჯერ დედოფლისწყაროში დავდიოდი ფეხბურთზე, თუმცა შემდეგ განვითარება მინდოდა და თბილისშიც ვცადე გადასვლა. „დინამოში“ ვთამაშობდი, ამ დროს სხვა სპორტსმენების ვარჯიშებს ხშირად ვაკვირდებოდი ხოლმე. ინტერნეტით ხშირად ვუყურებდი ფეხბურთელების ვიდეოებს, ერთხელაც, სრულიად შემთხვევით ფრისტაილის ვიდეო ვნახე. ამ მოძრაობებმა იმდენად დამაინტერესა, მალევე გადავწყვიტე, მეც მეცადა და ვარჯიში დამეწყო. ფეხბურთს შევეშვი და ამ სახეობაში დავიწყე სერიოზული მზადება. 5 წელია ვვარჯიშობ, კოლოსალურად დიდ დროს ვუთმობ ფრისტაილს. ხანდახან ბრეიქ დანსსაც ვცეკვავ.

-„სეუ არტ პროჯექტის“ ჯგუფის წევრი ხარ, იქ როგორ მოხვდი?

-ამჟამად საკმაოდ ცნობილი ჯგუფის წევრი ვარ, „სეუ არტ პროჯექტი“ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა და მათივე დარბაზში ვვარჯიშობთ. სეუ-ს გუნდში მოხვედრა ადვილი არ იყო, სპეციალური შერჩევა გავიარე და საბედნიეროდ, დამტოვეს. ვაპირებთ კიდევ უფრო განვითარდეთ და ვგეგმავთ, პროექტ „ნიჭიერშიც“ მივიღოთ მონაწილეობა ჯგუფის სახელით. საკმაოდ ხშირად გვაქვს კონცერტები, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ტელევიზიებთან და სხვადასხვა შოუებში ვცეკვავთ. ამ სფეროში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. როცა ჩვენი ჯგუფი კონცერტზე გამოდის, ყველა ნევრი თავის ნომერს წარადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს გამოცდილება მივიღოთ და უფრო განვითარდეთ. ხშირად გვაქვს აქტივობები. ამასწინათ, სეუ-ს მხარდაჭერით ქუჩის ცეკვების შეჯიბრის ორგანიზატორები ვიყავით. საკმაოდ კარგი პრიზი იყო დაწესებული, გამარჯვებული ამსტერდამში გაემგზავრებოდა. ეს ივენთი ტელევიზიებითაც გაშუქდა, რაც დამატებითი სტიმული იყო ჩვენთვის.



- ფეხბურთს რატომ არ გაყევი?

- ფინანსური პრობლემების გამო მომიწია ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. ვარჯიში ფასიანი იყო და მალე მივხვდი, რომ მათთვის მთავარი იყო გადასახადი შემეტანა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ ვითამაშებდი. სამწუხაროდ საქართველოში ყოველთვის ასე ხდება, ამიტომ პერსპექტივა ვერ დავინახე და სხვა მიმართულებით წავედი.

-ოჯახი რას ამბობდა შენი იშვიათი გატაცების შესახებ?

-ბევრი რამ გადავიტანე ამ ხნის განმავლობაში. ოჯახიც წინააღმდეგი იყო, მშობლები სულ მეკამათებოდნენ, „შეეშვი, ხომ ხედავ ბურთით არაფერი გამოდისო“, მაგრამ ჩემთვის აზრის შეცვლა ვერავინ შეძლო. ბოლოს მიხვდნენ, რომ აზრი არ ჰქონდა და ინტერესს ვერ დავკარგავდი, საყვედურებმაც იკლო. იმედგაცრუება ფეხბურთის გამო ჰქონდათ, ეგონათ, აქაც არ გამიმართლებდა.

-ილია, ეს მიმდინარეობა მხოლოდ ვიდეოებიდან შეგიყვარდა, თუ ვინმეს იცნობდი, ვინც გავლენა მოახდინა შენზე?

-არავის ვიცნობდი, საქართველოში სულ ორი ადამიანი ვართ. ფრისტაილი არცთუ იშვიათია, მაგრამ გაცილებით ცოტა მიმდევარი ჰყავს, რომლებიც უშუალოდ ბურთთან ერთად ასრულებენ. მეც უფრო ბურთს ვიყენებ ცეკვისას. ჩემი ინდივიდუალური სტილი მაქვს. მსოფლიოში იშვიათია, ვინც ასეთ სტილზე ცეკვავს. საქართველოში მეორე მოცეკვავეცაა, ვინც ბურთს იყენებს, თუმცა ისიც რადიკალურად განსხვავებულია ჩემგან. სხვადასხვა ილეთებს ვხვეწავთ. ზოგადად ე.წ. ფინტები ბავშვობიდან მიყვარდა, ფეხბურთის დროსაც ფინტებს ხშირად ვაკეთებდი, მაგრამ ფრისტაილის შესახებ არ ვიცოდი. ამდენად მრავალფეროვანი და გამდიდრებული ილეთები თუ იყო, არც წარმომედგინა, ამიტომაც ჩამითრია, რომ მისი მრავალფეროვნება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. ამდენი რამის მოხერხება თუ შეიძლებოდა, ჩემთვის ეს დიდი სტმული იყო და ენთუზიაზმი გამიჩნდა. დავისახე მიზნად, რომ მსოფლიოს ფრისტაილერების დონეზე დამეხვეწა მოძრაობები და თავს არ ვზოგავდი, მაქსიმუმს ვაკეთებდი და ხშირად მაქსიმუმზე მეტსაც. ამ პრინციპით ვცხოვრობ, არ უნდა ამოწურო, მაქსიმუმზე მეტი უნდა აკეთო და არ გაჩერდე. ყოველთვის უნდა განვითარდე და ახალი ეძებო.

-რას ნიშნავს შენთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი?

-ჩემთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი უმთავრესია. მთავარია, ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ცხოვრებაში იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს. ყურადღება არ უნდა მიაქციო სხვა რას ამბობს. შენი საქმით უნდა მიიღო სიამოვნება. როდესაც მეკითხებიან, რა სარგებელს მაძლევს ამის კეთება, ყოველთვის ვპასუხობ, შესაძლოა მატერიალურ სარგებელს არ ვიღებ, მაგრამ მთავარია მსიამოვნებს. როცა შენს საქმეს სიამოვნებით აკეთებ, მაშინ ყველაფერს მიაღწევ და მეც მჯერა რომ შრომა დამიფასდება და წარმატებებს მივაღწევ. მავნე ჩვევები არ მაქვს, სიგარეტს არ ვეწევი და არც მომინევია. უნდა იცხოვრო შენ როგორც გინდა და არა ისე, როგორც სხვა ფიქრობს. ჩემთვის მიუღებელია ნარკოტიკი... არა იმიტომ, რომ სპორტს მივდევ, სხვა შემთხვევაშიც არ მოვიხმარდი არც მსუბუქს და არც მძიმე ნარკოტიკს. ვთვლი, რომ ადამიანმა არ უნდა მიიღოს არანაირი ნარკოტიკი.

-რა არის შენი, როგორც ახალგაზრდის, სათქმელი?

-ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ნიჭს სათანადოდ არ აფასებენ. ბევრი ნიჭიერი განვითარებას ვერ ახერხებს, ხელშეწყობა არ არის და უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა იკარგება. ეს კი იმედგაცრუებას იწვევს, ბევრი რამით ვართ ჩამორჩენილები. ადვილი არც ჩემთვის იყო ამ გზის გავლა, ბევრი რამ გამომივლია, შიმშილი, სიცივე, ბევრჯერ გარეთაც გამითენებია, ღამით სეუ-შიც დავრჩენილვარ, მაგრამ საქმისადმი სიყვარული არ გამნელებია. მიზანი იმდენად ძლიერი იყო, ეს ყოველთვის მეხმარებოდა სირთულეები დამეძლია. მეგობრების მხარდაჭერაც ბევრჯერ დამხმარებია. ამ სფეროში ბევრი მეგობარი შევიძინე, ამიტომაც ისინი უპირველესები არიან ჩემთვის.

შემოთავაზება მაქვს კულტურის და სპორტის ცენტრებთან, მაგალითად ელიაობისა და დედოფლისწყაროობის დღეებში როდესაც კონცერტები იგეგმება, მონაწილეები თბილისიდან ჩამოჰყავთ და ფულს უხდიან, მეც შემიძლია და ძალიან მინდა, ჩემს რაიონს ვაჩვენო ჩემი შესაძლებლობები. ადგილობრივებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება. სულ სხვა განცდაა, როცა იქ გამოდიხარ, სადაც დაიბადე და გაიზარდე.

-გეთანხმები... მეც მიმაჩნია, რომ ადგილობრივები, მაგალითად ისეთი მომღერალი, როგორიც თუნდაც თამარ ყველაშვილია, მან „ნიჭიერის“ დიდ სცენაზე მოიპოვა აღიარება და დედოფლისწყაროს სცენაზეც უნდა გამოდიოდეს...

-ამის შესაძლებლობა სამწუხაროდ ჯერ არ მქონია. ძალიან ბევრ კონცერტში ვმონაწილეობ, მაგრამ მინდა, საკუთარ მხარეში გამოვიდე.

ექსპერიმენტი,რომელიც მიზანთან გვაახლოებს...

25 წლის დავით ლეკაშვილი მეორე დედოფლისწყაროელია, რომელიც „ნიჭიერის“ შემდეგ ტურში გადავიდა. მან ტრაქტორით მანიკური წაუსვა ქართველ წამყვანს. როგორც ასეთ პროექტებსა თუ კონკურსებში გათვითცნობიერებული ადამიანები ამბობენ, მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს და დავით ლეკაშვილი გამორჩეული უნარითაა დაჯილდოებული.

სამრეკლოელი დავით ლეკაშვილი პროექტში „ნიჭიერი“ შემთხვევითობის წყალობით აღმოჩნდა. მის ცხოვრებაში დაახლოებით ისეთივე სიუჟეტი განვითარდა, როგორიც ცნობილ ქართულ კინოფილმშია. ალბათ ყველას გახსოვთ მხატვრული ფილმი „რეკორდი“. ჩვენი გმირის ისტორიაც, ფილმის მთავარი გმირის ისტორიის მსგავსად, უწყინარი სანაძლეოთი დაიწყო.

როგორც ის გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, ყველაფერი ხუმრობით დაიწყო. მეგობრის ირონიულ ნათქვამს-„შენც ტრაქტორით ნემსის ყუნწში ძაფი არ გააძვრინოო“, დავითმა საქმე დაუპირისპირა და მეგობარი სახტად დატოვა. მაშინ ეს ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. მისმა მეგობარმა, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი -2“-ის თანამშრომელია, კომპანიის ვებგვერდზე ატვირთა. ცოტა ხანში მას პროექტ „ნიჭიერიდან“ დაუკავშირდნენ და მონაწილეობა შესთავაზეს. თავიდან დავითი არ თანხმდებოდა. მისთვის საზოგადოების წინაშე წარდგენა და კონკურსში მონაწილეობის მიღება არცთუ კომფორტული იყო. თვლიდა, რომ განსაკუთრებულ უნარს არ ფლობდა და ამის გაკეთება ყველას შეეძლო.

მეგობრები არ ეშვებოდნენ. არწმუნებდნენ, რომ მსგავსი პრეცედენტი არ არსებობდა. დავითმა ინტერნეტში გადაამოწმა და აღმოაჩინა, რომ მეგობრები არ ტყუოდნენ. „ნიჭიერის“ პროდიუსერებიც არ ეშვებოდნენ. მანაც მიიღო გადაწყვეტილება და პროექტში მონაწილეობას დათანხმდა.

„თითქმის ოთხი წელია, რაც ფერმერულ საქმიანობას ვეწევი. მაქვს სახნავ-სათესი მიწები. ვფლობ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მათი მართვაც ვიცი. ტრაქტორიც „მოვათვინიერე“ და მოცალეობის ჟამს ექსპერიმენტებსაც ვატარებ. მომწონს მსგავს სიზუსტეებში ჩემი თავის გამოცდა. აღმოვაჩინე, რომ შორ მანძილზე პატარა საგნების კარგად დანახვაც შემიძლია და, რამდენადაც ეს ტექნიკითაა შესაძლებელი, განსაკუთრებული სიზუსტით შემიძლია სხვადასხვა მოქმედების შესრულება. სწორედ ამის შესახებ ვსაუბროგდი მეგობართან, რომელმაც ხუმროგით ჩემს უნარს აგდებულად შეხედა. ისე გამოვიდა, რომ მისი ხუმროგა ჩემთვის სტიმულის მიმცემიც აღმოჩნდა და მან თავისდაუნებურად იდეაც მომაწოდა. მერე იყო „ნიჭიერი“, სადაც მეტმა ადამიანმა გაიგო ჩემს შესახებ“-ამბობს დავით ლეკაშვილი.

ის საკუთარ თავს საკმაოდ დიდ მოთხოვნებს უყენებს. ახლა ძიების პროცესშია-ფიქრობს იმაზე, შემდეგ ტურში ისეთი ნომერი შესთავაზოს მაყურებელს, რომელიც ყველას მოეწონება და არ გააფერმკრთალებს საზოგადოებისა თუ ჟიურის წევრების პირველ შთაბეჭდილებას.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებებს უსურვებს დედოფლისწყაროელ მონაწილეებს და იმედს ვიტოვებთ, რომ მათ „ნიჭიერის“ ფინალში ვიხილავთ.

გმირი ექიმი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯარიდან გაუშვა და რომლის სახელსაც გორის სამხედრო ჰოსპიტალი ატარებს

გორის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მკურნალობს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული ექიმის გიორგი აბრამიშვილის სახელს ატარებს. მრავალპროფილური სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება ემსახურება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს და აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით. ჰოსპიტალს გმირი ექიმის სახელი 2013 წელს მიენიჭა.

ვინ იყო გიორგი (გოგა) აბრამიშვილი

გიორგი აბრამიშვილი სიღნაღში დაიბადა და გაზარდა. ის ქუჩა, სადაც ის ცხოვრობდა, დღეს მის სახელს ატარებს.

2008 წლის 11 აგვისტოს ექიმი გიორგი აბრამიშვილი არ დაემორჩილა ევაკუაციის ბრძანებას - სასწრაფოდ დაეტოვებინა გორის სამხედრო ჰოსპიტალი. საავადმყოფო იყო პირველი, იმ ობიექტების სიაში, რომელიც რუსული ავიაციის სამიზნე უნდა გამხდარიყო. ეს ყველაფერი ექიმს უთხრეს, მაგრამ ის მაინც დარჩა საავადმყოფოში... ის ჰოსპიტლის ეზოში მტრის გახსნილ ცეცხლს ემსხვერპლა.

„გოგა საშშოგლოსთვის იბრძოდა და მისთვის სუნთქავდა“

“გოგა 2007 წელს გადავიდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. ომი რომ დაიწყო, ის ჰოსპიტალში თავისი სპეციალობით - ქირურგად მუშაობდა. იმჟამად მე ტყვიავში, საველე ჰოსპიტალის უფროსი მეთაური ვიყავი. 11 აგვისტოს ჩავედი გორში, ჰოსპიტალი ოკუპირებული იყო, მხოლოდ გოგა და რამდენიმე ექიმიღა შემორჩა იქაურობას, ანუ ადგილზე ექიმების ის რაოდენობა იყო, ჰოსპიტალი რომ ვერ იფუნქციონირებდა. გოგა ევაკუაციას არ დაემორჩილა, მითხრა, - ვერ წავალ, ვინმე მოროდიორი არ შემოვარდეს, ტექნიკა მისახედიაო და დარჩა. რას წარმოვიდგენდი, რომ ბოლო ნახვა იყო” - იხსენებს ასევე სამხედრო ექიმი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ქოიავა.

მისი თქმით, 2006 წლის დასაწყისში “ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლების პირობებში გიორგი აბრამიშვილი სამხედრო სამსახურიდან გაუშვეს.

ლაშა ქოიავა:

- მე და გოგა ერთად ვსწავლობდით სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, ის ჩემზე ერთი კურსით დაბლა იყო. მერე შევხვდით აფხაზეთის ომში, გოგა “თეთრი გიორგის” ბატალიონში იყო, მე - პირველი ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი ვიყავი. ომი ერთად მოვიარეთ, შემდეგ გოგა შეიარაღებული ძალების საველე ჰოსპიტალში მსახურობდა. მან ქირურგის კვალიფიკაცია მიიღო და, სხვათა შორის, შესანიშნავ ქირურგად ჩამოყალიბდა.

ჩვენ ერთად ვიყავით სწავლებაზე - “კახეთი - 2002”, გემახსოვრებათ, პუტინს დესანტის გადმოსხმა რომ უნდოდა, იმ პერიოდში. იმჟამად დავით თევზაძემ ჯარი გაგვიშვა და პანკისის მიმართულებაზე დაგვაყენა. გოგა იქ სამ თვეს იყო გაუსვლელად, ჩვენი ჯარის და იქაური მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა, ბევრს კურნავდა, ძალზე გულისხმიერი ექიმი იყო, დაუზარელი და დიდი პიროვნება.

როგორც კი “ნაციონალები” მოვიდნენ ხელისუფლებაში, ჯარში რაღაც ექსპერიმენტები დაიწყეს, ნაომარ ხალხს ჯარიდან ყრიდნენ. ირაკლი ოქრუაშვილმა იმხანად 2000 სამხედრო მოსამსახურე გაუშვა, 2 თვეში ჯარი დაშალა და აბსოლუტურ ნულზე დაიყვანა. დავით თევზაძემ მინისტრობისას უამრავი ადამიანი გააგზავნა სასწავლებლად სხვადასხვა ქვეყანაში - ბიჭები, რომლებმაც აფხაზეთის ომი გამოიარეს და არანაირი სამხედრო განათლება არ ჰქონდათ, ზოგი უკრაინაში გაუშვა, ზოგი - საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ინგლისსა და თურქეთში. მაინც ფილოსოფოსი კაცია და ჯარისკაცების განათლებაზეც ზრუნავდა, აპირებდა თანამედროვე ჯარის ქართული სკოლა ჩამოეყალიბებინა.

მოვიდნენ „ნაციონალები“ და ყველა გაუჭარეს.

“სააკაშვილის ხელისუფლების დროს ჯარიდან გოგაც გაუშვეს, რის შემდეგაც ეუთო - ში დაიწყო მუშაობა (2005-ში მე, მომდევნო წლის დასაწყისში კი გოგა გამოუშვეს). 2007 წელს გადავიდა გოგა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. ომი როცა დაიწყო, ის ჰოსპიტალში თავისი სპეციალობით - ქირურგად მუშაობდა. იმჟამად

მისი გარდაცვალების ორი ვერსია ვრცელდებოდა. იყო ლაპარაკი, რომ გოგა ვერტმფრენის ტყვიამფრქვევის ტყვიით დაიღუპა, მეორე ინფორმაციით, ვერტმფრენის ტყვიამფრქვევის ჯერმა გადატეხა ხე და ეს ხე დაეცა გოგას. ის ჰოსპიტალის ეზოში იპოვეს. რომელია ზუსტი ინფორმაცია, არ ვიცი, ნებისმიერ შემთხვევაში, გოგა ომს და ვერტმფრენიდან გახსნილ ცეცხლს შეეწირა. რუსებმა იცოდნენ, რომ იქ ჰოსპიტალი იყო და წესით, არავითარ შემთხვევაში ცეცხლი არ უნდა გაეხსნათ... გაურკვეველია, რატომ ესროლა ვერტმფრენმა ჰოსპიტალის ტერიტორიას. მერე, დაჭრილების მიღების მთელი სიმძიმე ჩვენმა, ტყვიავის საველე ჰოსპიტალმა აიღო..

გოგა გულისხმიერი ადამიანი, პროფესიონალი ექიმი და მამაცი ჯარისკაცი იყო, როგორებიც არიან ომში კახელები - მამაცი, გულადი, საიმედო... ჩვენ კარგი მეგობრები და თანამებრძოლები ვიყავით. ის ასევე, მოსიყვარულე მამა და მეუღლე იყო, პასუხისმგებლიანი პიროვნება. ყველა ღირსებასთან ერთად, მას სასწაული იუმორის გრძნობა ჰქონდა, ქიზიყელი კაცი იყო, სამშობლოს ემსახურებოდა, მისთვის იბრძოდა და მისთვის სუნთქავდა.

ბედის ირონიაა, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი სწორედ გორის სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობს.

4+1 საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ - რას ედავება პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად 2004 წელს აირჩიეს და ორი ვადის შემდეგ თანამდებობა 2013 წლის მიწურულს დატოვა. მალევე ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ კი უკრაინაში გაემგზავრა. როდის დაიწყო სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება და რა საქმეები აქვს პროკურატურას?

პროკურატურამ სააკაშვილი პირველად 2014 წლის 27 მარტს დაიბარა მოწმის სახით უწყებაში, 2014 წლის 28 ივლისს კი - მეორედ. ექსპრეზიდენტი უწყებაში არ მივიდა, იმავე დღეს კი პროკურატურამ მას პირველი ბრალი წაუყენა. 2014 წელსვე წაუყენეს სააკაშვილს სხვა ბრალდებებიც.

რაც შეეხება თავად საქმეებს, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღიძრა 7 ნოემბრის აქციის დარბევის, ვალერი გელაშვილის ცემის, საბიუჯეტო ქონების გაფლანგვისა და გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულთა შეწყალების საქმეები.

თუმცა, სააკაშვილის ადვოკატები და მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ მესამე პრეზიდენტის დევნა პოლიტიკური მოტივით დაიწყო, რასაც მოწმობს, მათი თქმით, სხვადასხვა დროს მმართველი გუნდის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები.

სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებში ხარვეზებსა და პოლიტიკურ სარჩულს ხედავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივაც“, რომელმაც პოლიტიკურად მოტივირებულ მართლმსაჯულებაზე ანგარიში 2015 წელს გამოაქვეყნა, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ედუარდ მარიკაშვილი კი ამბობს, რომ მას შემდეგ სააკაშვილის საქმეებზე ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

7 ნოემბრის საქმე

მიხეილ სააკაშვილი 7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია).

ასევე, 333-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია).

სასჯელი 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის მტკიცებით, 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიცია გაუფრთხილებლად დაესხა თავს მოშიმშილე მომიტინგეებს და დაარბია, ამის გასაპროტესტებლად გამოსული ხალხის წინააღმდეგ კი გამოიყენეს არაპროპორციული ძალა და კანონით აკრძალული არალეტალური იარაღი. სცემეს სახალხო დამცველს, პოლიტიკური პარტიის წევრებსა და ჟურნალისტებს.

ასევე სააკაშვილის გადაწყვეტილებით, პროტესტი რომ არ განახლებულიყო, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევით, რუსთაველზე გამოიყვანეს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა.

გარდა ამისა, სპეცდანიშნულების რაზმები შეიჭრნენ „იმედსა“ და პატარკაციშვილის სხვა საკუთრებებში. ხელისუფლებამ კანონდარღვევით შეუჩერა „იმედს“ მაუწყებლობის ლიცენზია, შემდეგ კი ის და პატარკაციშვილის ქონების ნაწილი მის ოჯახს კანონდარღვევით ჩამოართვეს და შენიღბულად თავიანთ მფლობელობაში მოაქციეს.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი ბექა ბასილაია კი „პუბლიკასთან“ ამბობს, რომ 7 ნოემბრის საქმეში სააკაშვილის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ არის.

„არ არსებობს არც ერთი პირის ჩვენება, რომ მიხეილ სააკაშვილმა გასცა ბრძანება ვინმეს მიმართ ძალადობაზე, აქციის დაშლაზე ან რაიმე მსგავსზე.

ერთადერთი ჩვენებაა გენშტაბის უფროსის, რომ მიშამ მითხრა, საჯარისო ნაწილები გადაიყვანე „საფრთხე 2-ის“ რეჟიმზეო. რაც არ ნიშნავს არანაირად არც მიტინგის დაშლას და არც ტელევიზიაში შესვლას. მიშას წინააღმდეგ არანაირი ჩვენება არ არსებობს ამ საქმეში“, — ამბობს ბასილაია.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასება:

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ 7 ნოემბრის საქმესთან დაკავშირებით წერს, რომ სააკაშვილის მიმართ ბრალდებისთვის პროკურატურა, ძირითადად, ნინო ბურჯანაძეს ეყრდნობა.

GDI წერს, რომ ძირითადი მოწმე, ვინც 7 ნოემბრის მომიტინგეების დაშლაზე, „ტელეიმედში“ სამართალდამცავების შესვლასა და მის ჩამორთმევაზე პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილის აკისრებს, სწორედ ნინო ბურჯანაძეა.

თანაც, ოქმის მიხედვით, ბურჯანაძე სააკაშვილის მიმართ ბრალდების წაყენების შემდეგ დაიკითხა. ამიტომ, ჩნდება ეჭვი, რომ პროკურატურამ ბრალის წაყენების შემდეგ დაიწყო მისთვის საჭირო მტკიცებულებების ძებნა და არ არსებობდა სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენების დასაბუთებული სტანდარტი.

GDI აღნიშნავს, რომ არ არსებობს იმისი პირდაპირი მტკიცებულებები, გასცა თუ არა, მაგალითად, ჯარის გამოყვანის ბრძანება სააკაშვილმა.

„არანაკლებ საინტერესოა ტელეკომპანია „იმედისა“ და მეტალურგიული ქარხნის ეპიზოდების შეფასებაც. ბრალდების შესახებ დადგენილების საფუძველზე, ჩნდება განცდა, რომ მასში გადმოცემულია ზოგადად დანაშაულებრივი ქმედება და არა კონკრეტულად სააკაშვილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

ამავე დროს, რთულია, საქმეში მოიძებნოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილისთვის ქონების წართმევის მუქარის მცდელობას მაინც“, - წერს GDI.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ედუარდ მარიკაშვილი „პუბლიკასთან“ განმარტავს, რომ მართალია, მიხეილ სააკაშვილი იმ დროს სახელმწიფოს პირველი პირი იყო და შესაძლოა, დაისვას კითხვა მისი პასუხისმგებლობის შესახებ 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენების გამო, მაგრამ მათ მიერ შესწავლილი საქმის მასალების მიხედვით, არათუ განაჩენის გამოტანისთვის, არამედ გამოძიების დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებებიც კი არ არსებობდა.

„ვარაუდებს ვერ დაეყრდნობი. შეიძლება, ჯარი გამოვიდა, მაგალითად, რუსთაველზე, მაგრამ პირდაპირი მტკიცებულებებით უნდა დადგინდეს, რა იყო ზუსტად ბრძანების შინაარსი.

უნდა არსებობდეს უშუალოდ ვინმე ისეთი მოწმე, ვისაც დაავალეს, ან ვიდეოჩანაწერი, ან რაიმე ისეთი ორი პირდაპირი მტკიცებულება, რაც ერთობლიობაში დაადასტურებდა, რომ დანაშაული მართლაც ჩადენილია. ეს არის მინიმალური სტანდარტი გამამტყუნებელი განაჩენისთვის“, - დასძენს მარიკაშვილი.

გელაშვილის ცემის საქმე

ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილი სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებით არის ცნობილი დამნაშავედ სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით) და 25,117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება).

ამ საქმეზე, საბოლოოდ, მიხეილ სააკაშვილს 2018 წლის 28 ივნისს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის მტკიცებით, 2005 წლის 14 ივლისს მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი სტატიის გამო, სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ერეკლე კოდუას ორგანიზებით, სოდ-ის სპეცრაზმის თანამშრომლები თავს დაესხნენ პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილს და ცეცხლსასროლი იარაღის კონდახების გამოყენებით სასტიკად სცემეს. ასევე გასტაცეს ცეცხლსასროლი იარაღი, თანხა და ძვირფასი ნივთი.

თავდასხმის შედეგად ვალერი გელაშ-

4+1 საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ - რას ედავება პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს

ვილმა მიიღო ცხვირისა და სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, რამაც სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია და სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებად შეფასდა.

დაცვის მხარე კი ამ საქმეშიც მტკიცებულებების ნაკლებობაზე საუბრობს. ბექა ბასილაიას თქმით, დასაგმობია ვალერი გელაშვილის ცემა და ნებისმიერი მოქალაქისთვის მიუღებელია ძალადობა, მაგრამ, მისივე თქმით, მიუღებელია ამ ფაქტის პოლიტიკური მოტივაციით გამოყენებაც და ძველი ხელისუფლების დევნა „შეკერილი ჩვენებებით“.

„პოლიტიკურად დაინტერესებულ პირთა ირიბი ჩვენებებია წარმოდგენილი. არავითარი მყარი და პირდაპირი მტკიცებულება არ არის, რომ მიხეილ სააკაშვილი რაიმე ფორმით იყო დაკავშირებული ამ ამბავთან“, - ამბობს ბასილაია.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასება:

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია წერს, სააკაშვილის მიერ ვალერი გელაშვილის ცემის ბრძანების გაცემაზე ბრალდებისთვის პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენებას იშველიებს. ოქრუაშვილიც, ბურჯანაძის მსგავსად, ჩვენების მიცემისას სააკაშვილთან პოლიტიკურად იყო დაპირისპირებული.

ის თავდაპირველ ჩვენებაში ამბობდა, რომ სააკაშვილი შეხვდა და გელაშვილის ცემის ორგანიზება სთხოვა, რაზეც მისგან უარი მიიღო, თუმცა, ოქრუაშვილთან შეხვედრის სხვა მტკიცებულებები არ არსებობს.

გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რაც მერაბიშვილის მიერ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის, ერეკლე კოდუასთვის რაიმე დანაშაულებრივი სახის მითითებას დაადასტურებდა. მიუხედავად ამისა, ბრალდება ამტკიცებს, რომ მერაბიშვილმა გელაშვილის ცემის ორგანიზება სწორედ ერეკლე კოდუას დაავალა.

GDI წერს, რომ საქმეში გამოსაყოფია ვალერი გელაშვილისთვის მიყენებული დაზიანებებიც.

თავდაპირველად 2014 წლის 15 აპრილის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც მთავარი პროკურატურის მოთხოვნით დაინიშნა, ვალერი გელაშვილისთვის მიყენებული დაზიანებები შეფასებულია, როგორც „ნაკლებად მძიმე ხარისხის, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით“.

სამი თვის შემდეგ, ირაკლი ოქრუაშვილი ხელახლა დაიკითხა. ის 2014 წლის 17 ივლისს დამატებითი დაკითხვისას აზუსტებს, რომ სააკაშვილმა გელაშვილის არა მხოლოდ ცემა, არამედ მის მიმართ სასტიკი ფიზიკური ანგარიშსწორების ორგანიზება სთხოვა.

ამის შემდეგ კი ვალერი გელაშვილმა მიმართა ლიეტუვის ექსპერტიზის ბიუროს, სადაც დაზიანებები შეფასდა მძიმედ, ხოლო 2014 წლის 10 სექტემბერს პროკურატურამ სამხარაულის ბიუროს კიდევ ერთხელ მიმართა ექსპერტიზისთვის.

ამჯერად ბიუროსა და ლიეტუველი ექსპერტის ერთობლივი დასკვნით შეფასდა, რომ „დაზიანებები ერთად აღებული, მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათოს...“.

ამ ყველაფერს მოჰყვა სააკაშვილისთვის ბრალდების დამძიმება - ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებად.

„ჩნდება განცდა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენების დაზუსტება მიმართული იყო სააკაშვილისთვის ბრალის დამძიმებისკენ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება არის დანაშაული, რომლის ჩადენაც შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. განზრახვასთან ერთად აუცილებელია სახეზე იყოს შედეგი, როგორიც არის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, სახეზეა შედეგი, თუმცა, ქმედების შემადგენლობას აკლდა სუბიექტური მხარის ნიშანი - პირდაპირი განზრახვა.

ოქრუაშვილის დაზუსტებული ჩვენების შემდეგ შესაძლებელი გახდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობაზე მსჯელობა, რათა სააკაშვილისთვის მომხდარიყო ბრალდების ამ სახით დამძიმება“, - წერს GDI.

„პუბლიკამ“ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმეებისა და მისი ჩვენების შესახებ კითხვით ირაკლი ოქრუაშვილსაც მიმართა. მაგრამ ოქრუაშვილის თქმით, სააკაშვილთან დაკავშირებულ საქმეებზე აუცილებლად ისაუბრებს სხვა დროს, მაგრამ ახლა კომენტარის გაკეთება არ სურს.

ე. წ. პიჯაკების საქმე

ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით გაფლანგვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით).

სასჯელი 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის მიხედვით, იმისთვის, რომ დაემალა საბიუჯეტო თანხის არამიზნობრივი ხარჯვა, მიხეილ სააკაშვილმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიას და ოთარ ქველიძის მონაწილეობით, საიდუმლო ფორმით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული სდსს-თვის გამოყო თანხები.

ბრალდების მტკიცებით, 2009 წლის 1 მაისიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე მიხეილ სააკაშვილის პირადი მიზნებისთვის არამიზნობრივად დაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 9 024 367.34 ლარი.

ხარჯი სდსს-ის უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას ხელმძღვანელობით ჩამოიწერა და დოკუმენტებს უკანონოდ მიენიჭა გრიფით „საიდუმლო“.

პროკურატურის მიხედვით, არამიზნობრივ ხარჯს შორის იყო, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის სტილისტის, ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილი ფული, პრეზიდენტის ესპანელი მზარეულის, სერხიო ქალდერონ ლატასას ანაზღაურება და მისთვის გაწეული სხვა ხარჯი.

ასევე, სააკაშვილისთვის საზღვარგარეთ ვიზიტებისას სხვადასხვა დროს დაქირავებული ავიალაინერის, ლიმუზინისა და მინივენის, ვერტმფრენის ხარჯი, მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავასათვის ავსტრიაში დაქირავებული „პორშეს“, „მერსედესისა“ და „აუდის“ მარკების ავტომანქანებში დახარჯული თანხა, მაჯის საათებში გადახდილი ფული.

ასევე, მიხეილ სააკაშვილისათვის დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკისა და ერთი ქიშმირის სპორტული პალტოს შესაძენად გადახდილი თანხა, რის გამოც ამ საქმეს ე.წ. პიჯაკების საქმეც შეერქვა.

ამ საქმეზე დაცვის პოზიცია ასეთია: ბექა ბასილაია „პუბლიკასთან“ ამბობს, რომ 2009 წლამდე პერიოდში ამ ტიპის ხარჯს გასცემდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ამასთან დაკავშირებით პროკურატურას კითხვა არ აქვს, არც ბრალი არ წარუდგენია ვინმესთვის.

„2009 წლიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გარკვეული ხარჯის დაფარვა გადავიდა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, მეტი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ ხარჯის ბუნება არ შეცვლილა. შესაბამისად, თუ ადმინისტრაციის მიერ მსგავსი ხარჯის გაწევა დანაშაული არაა, როგორ შეიძლება ეს სდსს-დან დანაშაული იყოს?!

უფრო მეტიც, 2013 წელს, როცა პრემიერ-მინისტრი უკვე ბიძინა ივანიშვილი იყო, ხოლო სდსს-ის უფროსი - ანზორ ჩუბინიძე, ამ დროსაც ზუსტად იმავე ტიპის ხარჯს ეწეოდნენ, მაგრამ ამ ნაწილთან დაკავშირებით არავის არ აქვს კითხვის ნიშანი.ხოლო რომელი ხარჯი დაიფარებოდა სდსს-დან, ამაზე გადაწყვეტილებას იმ კონკრეტულ მომენტში იღებდნენ იმისთვის, თუ რა სჯობდა მეტი დაცულობისთვის. ახლა შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, ამაღლებდა თუ არა ეს პრეზიდენტის დაცვას, მაგრამ იმ პერიოდში ასე მიიჩნევდნენ და ეს ცალკე საკითხია“, — ამბობს ბასილაია.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასება:

GDI ყურადღებას ამახვილებს ხარჯის მიზნობრიობაზე. ორგანიზაცია წერს, რომ ბიუჯეტში გაწერილი არამიზნობრივი ხარჯის შესწავლა, როგორც მიზნობრივი ხარჯის, არამართებულია და პოლიტიკურ მოტივაციაზე ბადებს კითხვას.

„2011 წლის საქართველოს ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტში ხარჯები გაწერილია როგორც მიზნობრივი, ასევე არამიზნობრივი ფორმით.

პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტი მიზნობრივი ხარჯების გარდა მოიცავს „სხვა ხარჯებსაც“.

არამიზნობრივი ხარჯების მიზნობრივად დახარჯვის კანონიერების საკითხის დაყენება სცილდება სამართლებრივი რეგულაციის ფარგლებს და აღიქმება, როგორც შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითი“, — წერს GDI.

გირგვლიანის საქმე

მიხეილ სააკაშვილი სამი ინსტანციის სასამართლოს განაჩენებით ცნობილია დამნაშავედ პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებულ პირთა წინასწარი შეთანხმებით შეწყალების ეპიზოდში, საქართველოს სსკ-ის 332 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილს 2018 წლის5 იანვარს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის მტკიცებით, 2006 წლის 27 იანვარს კაფე „შარდენ ბარში“ თამარ სალაყაიას, დავით ახალაიას, ოლეგ მელნიკოვს, გურამ დონაძეს და სხვებს ამავე ბარში მყოფ სანდრო გირგვლიანსა და მის მეგობარ ლევან ბუხაიძესთან მოუხდათ ურთიერთშელაპარაკება.

შურისძიების მიზნით, დავით ახალაიას დავალებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე გაიტაცეს ქალაქგარეთ, უმოწყალოდ სცემეს და აწამეს.

კუდ-ის თანამშრომლებმა დამცირების მიზნით, ყინვაში გააშიშვლეს ლევან ბუხაიძე, ხოლო სანდრო გირგვლიანის გაშიშვლება შეძლეს წელზემოთ და მჩხვლეტავი ბასრი საგნის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენეს მრავლობითი ჭრილობები. მათ შორის - 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა კისრის არეში. გირგვლიანს სხეულზე ასევე აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ნაჭდევები, რის შედეგად იგი გარდაიცვალა.

ამ საქმეზე 2006 წელს გაასამართლეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები გ. ალანია, ა. ღაჭავა, მ. ბიბილურიძე და ა. აფციაური, რომლებიც, პროკურატურის ცნობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კომფორტულ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ისინი სასჯელის მოხდის პერიოდში საპატიმრო დაწესებულებას ტოვებდნენ ყოველგვარი დოკუმენტაციისა და ნებართვის გარეშე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან წინასწარი შეთანხმებით, პრეზიდენტმა 2008 წელს მათ სასჯელი გაუნახევრა, რის შემდეგაც საპატიმროს დატოვების საშუალება მიეცათ.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები კი მიიჩნევენ, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის შეწყალების ფაქტზე ბრალდება საერთოდ არ უნდა წარედგინათ.

„ამ უფლების განხორციელების გამო ადამიანის გასამართლება არის წარმოუდგენელი. სრული დისკრეცია აქვს, შეუზღუდავი პრეზიდენტს, მათ შორის, დღევანდელსაც, კომისიის გვერდის ავლით მაშინაც შეეძლო და ახლაც შეუძლია შეწყალება.

სალომე ზურაბიშვილმა, მაგალითად, თქვა, ისეთ ხალხს ვიწყალებ, ვისი შეწყალებაც ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ვიღებ ამ გადაწყვეტილებასო. ამაზე პრეზიდენტის გასამართლება სრული სამართლებრივი აბსურდია“, - ამბობს ბექა ბასილაია.

შეწყალების გამო გასამართლების შესახებ უფრო ვრცლად საუბრობს იურისტი გიორგი მშვენიერაძე. მისი თქმით, თავად შეწყალების პრინციპი არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სასამართლო ზედამხედველობას, მაგრამ ცალკე საკითხია, შეიძლება თუ არა შეწყალების გამოყენება სხვა დანაშაულის ნაწილად.

„მაგალითად, პრეზიდენტმა ქრთამი აიღო და შეიწყალა ვინმე, ან, მაგალითად, როგორც ამ ბრალდებაშია მოცემული, წინასწარ შეუთანხმდა ვიღაც სხვას, რომ ბრალდებულებს შეიწყალებდა, თუკი ისინი აღიარებდნენ დანაშაულს და ვთქვათ, ვიღაცებს ხელს არ დაადებდნენ.

მაგრამ, თუკი ასეთი რამ მოხდა, მაშინ უნდა ვისაუბროთ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, არამედ შეიძლება, გვქონდეს რაიმე სხვა დანაშაული.

მაგალითად, ქრთამი თუ აიღო ქრთამის მიცემა და ქრთამის აღებაა ან, თუ ვიღაცას უთხრა, რომ ვინმე არ დაასახელო დანაშაულში და მე ამის გამო შეგიწყალებ, ეს იქნება დანაშაულის დაფარვა, მონაწილეობა დანაშაულის დაფარვაში.

ასე უნდა შევხედოთ ამ საკითხს და წარმოდგენილი კვალიფიკაცია — სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არის ყოვლად დაუშვებელი“, - ამბობს გიორგი მშვენიერაძე „პუბლიკასთან“.

მისივე თქმით, პროკურატურას შეეძლო ბრალდება სხვა მუხლით წარედგინა და არა უფლებამოსილების გადამეტებისთვის, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია, თუმცა, როგორც მშვენიერაძე ჰყვება, საქმის შესწავლისას აღმოაჩინეს, რომ პროკურატურას „გამოეპარა“ ხანდაზმულობის ვადა, რათა ბრალი წაეყენებინა, მაგალითად, დანაშაულის დაფარვაში თანამონაწილეობის გამო. „იმის გამო, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო მათთვის, პოლიტიკურად დაესაჯათ სააკაშვილი, ხოლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სავარაუდოდ, გათავისუფლებული იყო უკვე პასუხისმგებლობისგან, მოუგონეს ახალი ტიპის ბრალი. ეს არის სწორედ პოლიტიკური მართლმსაჯულება“, -ამბობს მშვენიერაძე.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასება:

GDI კი ანგარიშში წერს, რომ მტკიცებულებები არასაკმარისია სააკაშვილსა და დავით ახალაიას შორის რაიმე გარიგების დასადასტურებლადაც. შესაბამისად, სავარაუდოდ, რთული იქნებოდა წინასწარი შეთანხმების დამტკიცებაც სააკაშვილისთვის. „სხვა რაიმე სახის მტკიცებულებით არ დასტურდება სააკაშვილისა და დავით ახალაიას შეხვედრის, მიხეილ სააკაშვილის მიერ დავით ახალაიასთვის რაიმე სახის დაპირების მიცემის ფაქტი.

ასევე, არ დასტურდება სააკაშვილის მიერ შეწყალების გამოყენების დროს ამ კონკრეტული მსჯავრდადებულების მიმართ რაიმე სახის ინტერესის არსებობა, ვინაიდან ალექსანდრე გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდადებულებთან ერთად პრეზიდენტმა 2008 წლის 24 ნოემბრის შეწყალების აქტით კიდევ 363 პატიმარი შეიწყალა.

პირის ბრალდებულად ცნობა მხოლოდ ერთი პირის ჩვენების საფუძველზე ვერანაირ სამართლებრივ კრიტიკას ვერ უძლებს და მხოლოდ ერთი პირის ჩვენება არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის საკმარის მტკიცებულებად, რაც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენაში“, - წერს GDI.

რას განიხილავს სტრასბურგის სასამართლო

რამდენიმე თვის წინ მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთმა ადვოკატმა, გიორგი ჩივიაშვილმა განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო მიხეილ სააკაშვილის ორი საჩივარი. საუბარია ვალერი გელაშვილის ცემისა და სანდრო გირგვლიანის საქმეებზე, რომლებზეც მესამე პრეზიდენტის მიმართ საქართველოში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენები. იუსტიციის სამინისტრომ მაშინ განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამართლომ მათ „კითხვებით მიმართა“.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის სამი მუხლი:

- მე-6 მუხლი — საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;
- მე-7 მუხლი — არავითარი სასჯელი კანონის გარეშე;
- მე-18 მუხლი — უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები.

მიხეილ სააკაშვილის დამცველები მიიჩნევენ, რომ თუკი სტრასბურგის სასამართლო დაადასტურებს ამ მუხლების დარღვევას, ეს იქნება კიდევ ერთი და აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმეები დარღვევებით წარიმართა პოლიტიკური ინტერესის გამო.

ზემოქმედების ფსიქოლოგია

თანამედროვე საზოგადოებაში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია ეფექტური ურთიერთობებისა (კომუნიკაციის) და ამისთვის საჭირო უნარის, ცოდნის გარეშე. თავის მხრივ, ეფექტური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა უკავშირდება ადამიანის უნარს, გავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე და თავი დაიცვას მათი ზეგავლენისგან. ყველა სახის ურთიერთობა ადამიანებთან, მათ შორის ინტერპერსონალურიც, წარმოუდგენელია გარკვეული ზეგავლენის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებს შორის ყველა სახის კომუნიკაცია, არსობრივად მანიპულაციის პროცესს წარმოადგენს. ყველა შემთხვევაში ადამიანი ელის, რომ ურთიერთობის პროცესს საპასუხოდ მოჰყვეს ესა თუ ის რეაქცია, ქცევა. სხვანაირად ურთიერთობას აზრი არ აქვს. ძნელია მოიყვანო მაგალითი ადამიანებს შორის ურთიერთობისა, როდესაც მას არ უნდოდეს ამ ურთიერთობის შესაბამისი, სპასუხო რეაქციის, ქცევის მიღება. ურთიერთობები თვით მეგობრების წრეშიც კი ამ პრინციპს ექვემდებარება.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საღამოს მეგობრებთან ერთად ატარებთ. საუბრობთ ამა თუ იმ თემაზე, იგონებთ სხვადასხვა ისტორიას, შესაძლოა კამათობთ კიდეც, მაგრამ ყველა შემთხვევაში თქვენ მეგობრებისგან ელით მარტივ, ადეკვატურ რეაქციებს, რადგან გსურთ, რომ მათთან ერთად სასიამოვნო დრო გაატაროთ. წარმოუდგენელია, რომ თქვენ ამგვარი ურთიერთობის დროს გინდოდეთ ან ელოდეთ, რომ მეგობარმა დაიძინოს ან ჩხუბი დაგიწყოთ. როგორც ვხედავთ მეგობრებთან ურთიერთობის დროსაც, თქვენ რაღაცას მოელით, გინდათ რომ მათი ქცევები, თქვენთვის სასურველი და მისაღები იყოს. ამიტომაც აბსოლუტურად ყველა ურთიერთობა დაკავშირებულია სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენასთან. ადამიანებზე ზემოქმედება კი სხვა არაფერია, თუ არა მანიპულაცია.

მანიპულაცია არის ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომლის მიზანია ფარულად აღუძრას სურვილი, წააქეზოს ადამიანი განახორციელოს ისეთი ქცევა (მოქმედება), რომელიც მანიპულატორისთვის არის სასურველი და მის მიერ არის ჩაფიქრებული.

რამდენად ეთიკურია ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენება?! გააჩნია ვინ და რა მიზნებისათვის იყენებს მას.

საჭიროა თუ არა ამ მეთოდების ცოდნა? ამ შემთხვევაში პასუხი ცალსახაა - საჭიროა, რადგან მათი ცოდნა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ადამიანებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების, მანიპულაციის გზით მიღებული ისეთი შედეგები როგორიცაა: ფსევდოაზროვნება, ფსევდოგანცდა, ფსევდოაღქმა და ა.შ.

დირექტიული მეთოდები

ეს არის პირდაპირი, მკაცრი ბრძანებები და ინსტრუქციები, როდესაც ადამიანი პირდაპირ გეუბნებათ რა უნდა თქვენგან. ამგვარი მეთოდები განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც ბრძანების მიმცემი აღჭურვილია ძალაუფლებით. მანიპულაციის, ზემოქმედების ობიექტი კი მისდამი დაქვემდებარებულია ან მის მიმართ შიშს განიცდის.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი დამოკიდებულებები დამახასიათებელია მართვის ავტორიტარულ-ექპლოატატორული და ავტორიტარულ-პატერნალისტური სისტემებისთვის.

ფარული სუგესტიური მეთოდები

თანამედროვე კომპანიები, ახალი გენერაციის პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მართვის კონსულტატურ ან დემოკრატიულ ფორმებზე პირდაპირი მანიპულაციის ხერხებს ნაკლებად იყენებენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ უარს ამბობენ ზემოქმედების ხერხებზე. ისინი მანიპულაციის უფრო დახვეწილ ფორმებს მიმართავენ, რომლებსაც გასული საუკუნის შუა პერიოდში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ფსიქოლოგმა და ფსიქოთერაპევტმა **მილტონ ერიქსონმა.**

მილტონ ერიქსონმა უარი თქვა ტრადიციულ ჰიპნოზზე (რომლის დროსაც ფსიქოთერაპევტს პირდაპირი, დირექტიული ბრძანებების საშუალებით შეჰყავს პაციენტი ჰიპნოტურ მდგომარეობაში) და ადამიანის ტრანსში შესაყვანად უფრო მსუბუქი, ირიბი შთაგონების მეთოდი შეიმუშავა.

ტექნიკისათვის, რომელიც ერიქსონმა შეიმუშავა პრობლემას აღარ წარმოადგენდა ადამიანის ჰიპნობელურობის ფაქტორი. მან კარდინალურად შეცვალა იმპერატიული ბრძანებებისთვის დამახასიათებელი სიტყვიერი ფორმულირებები. ამ ნოვაციამ ერიქსონს საშუალება მისცა, ტრანსში შეეყვანა ისეთი პაციენტებიც, რომლებიც ტრადიციული ჰიპნოზის დროს ეწინააღმდეგებოდნენ პირდაპირ ბრძანებას და მათი ჰიპნოზში შეყვანა ვერ ხერხდებოდა. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ფარული ზეგავლენის (შთაგონების) მრავალი სხვადასხვა მეთოდი, რომლთა უმეტესობა მილტენ ერიქსონისგან იღებს სათავეს.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები

სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების უმეტესობა, დამარწმუნებელი კომუნიკაციის პროცესში, სოციალური განწყობების კოგნიტურ კომპონენტზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად. ეს მეთოდები XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს აღმოცენებული კოგნიტური შესაბამისობის თეორიების პარადიგმებს ემყარება, რომლებსაც კურტ ლევინისა (Kurt Lewin) და თეოდორ ადორნოს (Theodor W. Adorno) იდეები უდევს საფუძვლად.

ყველა ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის კოგნიტური სისტემა ეს არის ადამიანის შეხედულებების მოზაიკა, რომელიც ყალიბდება მის ცნობიერებაში აღზრდის და განათლების, გარესამყაროზე დაკვირვების და მისი შემეცნების პროცესში.

გარესამყაროს შესახებ ინდივიდის შეხედეულებები ორგანიზდებიან ურთიერთდაკავშირებულ ინტერპრეტაციებად, რის შედეგადაც ყალიბდება სხვადასხვა სოციალური განწყობები , რომლებიც სოციალური ქცევის რეგულატორებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე ზემოქმედების მეთოდების სამიზნე, რომელიც კოგნიტური შესაბამისობის თეორიებს ეფუძნება, სოციალური განწყობაა, რადგან ითვლება, რომ ადამიანის სოციალური ქცევები სოციალური განწყობებით დეტერმინირდება.

ამდენად თუ გვინდა, რომ სასურველი მიმართულებით შევცვალოთ ადამიანის ქცევა, უნდა შევცვალოთ თავად სოციალური განწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური განწყობის შეცვლის საკითხში, არსებობს განსხვავებული შეხედულებები, განწყობის კოგნიტურ კომპონენტზე ინფორმაციული ზემოქმედება უნივერსალურ პრინციპს წარმოადგენ.

ცნობიერების მანიპულირება

„ტოტალიტარულ სახელმწიფოში არა აქვს მნიშვნელობა რას ფიქრობს ხალხი, რადგან მთავრობას შეუძლია ფიზიკური ძალით მოსახლეობის კონტროლი. როდესაც ხალხის კონტროლი ძალის გამოყენებით შეუძლებელია,მაშინ ამის მიღწევის სტანდარტული საშუალება პროპაგანდაა“ - ნოამ ჩომსკი.

თითოეული ჩვენგანი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ ხდება სხვების მანიპულაციის მსხვერპლი. საშინელებაა, რომ ამას უმრავლესობა ვერც კი ამჩნევს . MIT-ის ენათმეცნიერების პროფესორმა ნოამ ჩომსკიმ, რომლის ნამუშევრების მილიონობით ეგზემპლარი მთელს მსოფლიოში გაიყიდა , ამ თემას მრავალი კვლევა მიუძღვნა. კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს ადამიანური ცნობიერების მანიპულირების ათი გზა, რომლებსაც იყენებენ მასების გასაკონტროლებლად. სია, რომელიც ნოამ ჩომსკიმ შექმნა, ასე გამოიყურება.

1. ყურადღების გადატანა

საზოგადოების მართვის ძირითადი ელემენტია ხალხის ყურადღების გადატანა მნიშვნელოვანი პრობლემებიდან ნაკლებად მნიშვნელოვან შეტყობინებებზე.

საინფორმაციო სივრცე გამუდმებით გადატვირთულია წვრილმანებით. მოსახლეობას აღარ უნდა რჩებოდეს დრო მნიშვნელოვანი კითხვების გასაანალიზებლად პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე ან სოციალურ პრობლემებზე.

2. პრობლემის შექმნა, შემდეგ კი მისი გადაწყვეტის შეთავაზება

ხელოვნურად იქმნება პრობლემა, რომელიც აიძულებს საზოგადოებას მოახდინოს რეაგირება და დათანხმდეს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც სახელმწიფო მათ ტექნიკურად თავაზობს და რომლის თავსმოხვევა თავიდანვე იყო ჩაფიქრებული. მაგალითად, ქალაქებში ძალადობის (კრიმინალი, ტერორიზმი) ესკალაცია, რომ მოსახლეობამ თვითონ მოსთხოვოს სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერება.

3. დანერგვა თანდათანობით

ცვლილებების განსახორციელებლად, რომლებიც არასასიამოვნო იქნება მასებისთვის, საკმარისია მათი დანერგვა მოხდეს თანდათანობით, ეტაპობრივად. უმუშევრობის ზრდა, მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, არასტაბილურობა, ცხოვრების დონის შემცირება, გადასახადების ზრდა, სამუშაო ადგილების შემცირება, გაუმჭვირვალე პრივატიზაცია - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია არასასიამოვნო სიახლეების, რომელთა დანერგვაც ხდება ამ მეთოდით. თუ კი ყველა ეს სიახლე ერთდროულად განხორციელდება, ეს გამოიწვევს მოსახლეობის მასშტაბურ პროტესტს .როდესაც ეს ზომები ეტაპობრივად დაინერგება,დროში გაიწელება , ადამიანების უმეტესობა ამას ეჩვევა...

4. აღსრულების გადავადება

საზოგადოებას წარედგინება ნეგატიური, არაპოპულარული გადაწყვეტილება, როგორც „მტკივნეულად აუცილებელი“ ღონისძიება, რომელიც დაინერგება მომავალში. ადამიანისთვის ბევრად ადვილია მსხვერპლის გაღებას დაეთანხმოს მომავლისთვის, ვიდრე მიმდინარე მომენტისთვის. მოსახლეობა ყოველთვის ელოლიავება თავის გულუბრყვილო იმედებს იმაზე, რომ "ხვალ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება" და მსხვერპლი, რომელსაც ეხლა მისგან ითხოვენ, მომავალში საჭირო აღარ იქნება.

5. მიმართე ხალხს, როგორც პატარა ბავშვს

როცა აუცილებელია მსმენელების ფართო წრეს მივაწოდოთ არასასიამოვნო ინფორმაცია, გამოიყენება ისეთი ინტონაცია, მოსაზრება, ჟესტები და სიტყვები, თითქოსდა ორატორი ესაუბრება ბავშვებს. ამასთან რაც უფრო მეტად უნდა შევიყვანოთ შეცდომაში მოსახლეობა, მით უფრო მეტად ინფანტილური იქნება სპიკერის მეტყველება. ასეთი მეთოდი ძალიან ქმედითია იმიტომ, რომ როცა ადამიანს მიმართავ როგორც ბავშვს, რომელსაც არ შეუძლია კრიტიკულად აზროვნება, დიდია იმის ალბათობა, რომ მას ბავშვისთვის (გულუბრყვილო და მიმნდობი) დამახასიათებელი რეაგირება ექნება.

6. აქცენტის გადატანა განსჯიდან ემოციებზე

ემოციაზე ზემოქმედება არის კლასიკური ხრიკი, როდესაც მანიპულატორი მოქმედებს ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, დაიბლოკოს ადამიანთა რაციონალური ფიქრის და კრიტიკული ანალიზის უნარი, და მეორეს მხრივ, ემოციური ფაქტორი გზას ხსნის ადამიანის ქვეცნობიერისკენ, რათა იქ „ჩანერგოს“ იდეები, აზრები, შეხედულებები, შიშები, საფრთხის მოლოდინი, სურვილები და ქცევის გარკვეული მოდელები. როცა ადამიანებს ესმით საშინელ ტერაქტებზე, მასიურ სიკვდილზე, მოშიმშილე აფრიკელ ბავშვებზე, ხელისუფლების უსამართლო ქმედებებზე, ისინი განიცდიან შიშს, სასოწარკვეთას, აპათიას, მწუხარებას და სხვა უარყოფით ემოციებს.ემოციებით სავსე ადამიანს არ შეუძლია გაიაზროს თუ რამ გამოიწვია, ან რა იყო რეალური მიზეზი ამა თუ იმ მოვლენის. რამდენად სანდოა ის ინფორმაცია რომელსაც ვღებულობთ ?

7. უფერული ადამიანის მოდაში დამკვიდრება

საზოგადოებას მრავალი საინფორმაციო წყაროებიდან მიეწოდებათ ცნობები ადამიანების უხამსი, უტიფარი და მდარე საქციელის შესახებ ფაქტიურად ყველა სფეროში: პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია და ა.შ. ჩვენ ყოველდღიურად გვესმის ცნობილი ადამიანების უზნეო გამოხტომებზე საზოგადოებაში, სენსაციურ სკანდალებზე, უსირცხვილო ქმედებებზე, უწმაწურ ლექსიკაზე.

ასე კი საზოგადოება დეგრადირდება, ცნობიერების სასარგებლო ინფორმაციით გამდიდრების შესაძლებლობას კარგავს. თუ ადამიანები უფრო გონიერები გახდებიან, ისინი მიხვდებიან რაც ხდება მათ გარშემო. მაგრამ ეს არ აწყობთ და სახიფათოც კია მმართველი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტური ჯგუფებისთვის.

8. მოსახლეობის განათლების შეზღუდვა

მოსახლეობის განათლების ხარისხი უნდა იყოს საშუალო ან ძალიან დაბალი. მათი შემეცნება უნდა იყოს მუდმივად დაბალ დონეზე. საზოგადოებას მიეწოდება ისეთი ინფორმაცია და ისეთი რაოდენობით, რომ მათ შეეძლოთ შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები და ვერ უნდა მიხვდნენ, რომ მათი მანიპულირება ხდება. განათლებულმა ადამიანმა კარგად იცის მასებზე ზემოქმედების პრინციპები და საშუალებები, მისი მართვა და აზრის თავსმოხვევა ან ზეწოლა კი ძალიან რთულია.

9. საკუთარი თავის დადანაშაულება

ამ მეთოდით ადამიანებს აიძულებენ დაიჯერონ, რომ მხოლოდ ის არის დამნაშავე საკუთარ უბედურებებში. ამის მიზეზი კი მისი გონებრივი შესაძლებლობების უკმარისობა, არასწორი მოქმედება ან არაჯეროვანი ძალისხმევაა. შედეგად, ადამიანი იწყებს თვითგვემას და ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებს, რაც იწვევს მის დამთრგუნველ მდგომარეობას, აპათიას და სრულ უმოქმედობას. ხოლო თუ სულის სიმტკიცე, ძლიერი ნებისყოფა და მოქმედების უნარი არ გაგაჩნია იქ ვერც სისტემას გაუწევ წინააღმდეგობას და პროტესტებში მონაწილეობის მიღებაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

10. იცოდე ადამიანზე იმაზე მეტი, ვიდრე მან საკუთარ თავზე

მასების სამართავად აუცილებელია გქონდეს ღრმა ცოდნა მეცნიერების ისეთი სფეროების, როგორიცაა მაგალითად ბიოლოგია, ნეირობიოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია და ა.შ. მეცნიერების წყალობით "სისტემამ" ადამიანის შესახებ მოიპოვა უდიდესი ცოდნა და ინფორმაცია, როგორც ფიზიოლოგიის, ასევე ფსიქიკის სფეროში. ამდენად, სისტემამ უფრო მეტი იცის ადამიანზე, ვიდრე თვით ადამიანმა საკუთარ თავზე. ეს ნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში სისტემა უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს და უფრო მეტად შეუძლია ადამიანთა მართვა, ის წყვიტავს თუ ადამიანი რაზე იფიქრებს და რას მოიმოქმედებს.

ერთისთვის უფრო იოლია უმეცრებაში ცხოვრება, ხოლო მეორეს სურს იფიქროს საკუთარი თავით და ხედავდეს ცხოვრების ჭეშმარიტ მოვლენებს. როცა იცი, თუ როგორ ხდება ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედება და მანიპულაცია, შენზეა დამოკიდებული მისცემ მათ ამის უფლებას თუ არა.

გვერდის მასალები მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პოპულაროობა გაიზრდება

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

UNDP

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე კლიმატის ცვლილებების მაღალი ზეგავლენის შედეგად, წლის განმავლობაში, ხანგრძლივი გვალვების გამო, ადგილობრივი ფერმერები ხშირად განიცდიან სოფლის მეურნეობის სფეროში დაბალი მოსავლიანობით გამოწვეულ ზარალს. ეს ზარალი ჯაჭვურად სხვა ბიზნესებზეც აისახება. ამის ერთ-ერთი შედეგია მოსახლეობის მაღალი მიგრაცია დიდ ქალაქებსა და უცხოეთში. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა 30%-ით შემცირდა.

მოსახლეობის მიგრაციის შესამცირებლად, რაიონში ალტერნატიული ბიზნესების და სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის და ეკონომიკის ალტერნატიული დარგების განვითარება. დღეს, როცა ქვეყანასა და რეგიონებში ვიზიტები ინტერნეტით იგეგმება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქ განთავსებულ ინფორმაციას ადგილობრივი რესურსების, ბიზნესების და სერვისების შესახებ. ინტერნეტში ყველაზე პოპულარული და მაღალი სანდოობისაა Google- ის სერვისების, მათ შორის, რუკების გამოყენება.

თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ამ რუკაზე ჩვენს რაიონზე ძალიან ცოტა ინფორმაციაა. ის მცირე ინფორმაციაც, რაც განთავსებულია, ხშირად არაზუსტია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ შესაბამისი სამსახურების მიერ რაიონულ ცენტრში დასაზუსტებელია დამისამართება, უმეტეს სოფლებში კი ქუჩებს არ აქვს სახელები და სახლებს- ნომრები.

მისამართების არარსებობა ბევრ პრობლემას უქმნის ადგილობრივ თემს სახელმწიფო სერვისების მიღების პროცესში: სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, სოციალური დახმარების მიღების, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების და სხვა სერვისები.

დედოფლისწყარო მდიდარია ტურისტული რესურსებით, მაგრამ საგზაო საინფორმაციო ნიშნების არარსებობა აძნელებს მათ პოვნას.

კიდევ ერთი გამოწვევაა გეოგრაფიული დასახელებების „გაორება“: რაიონში არის 2 მირზაანი, ხორნაბუჯის ციხე არ არის სოფელ ხორნაბუჯში, ფიროსმანის მუზეუმი არ არის სოფელ ფიროსმანში და არის სოფელ მირზაანში, სოფელი ხორნაბუჯი არის ასევე სიღნაღის რაიონში.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციამ მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავლად მიიჩნია უკვე არსებული ციფრული Google-ის რუკის სრულყოფა და ბიზნესების მიერ მისი სხვა უფასო სერვისების გამოყენება, როგორც ყველაზე ნაკლებ რესურსტევადი და მთელი რაიონის მომცველი საშუალება, რომელიც შეიძლება საუკეთესოდ იყოს მორგებული ჩვენს მუნიციპალიტეტზე. მან დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან ერთად დაიწყო პროექტის „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი GOOGLE MAP-ზე“ განხორციელება.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD III ფაზა) მიერ და მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის, პროექტ „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“-ის ინიციატივა „ჭკვიანი სოფლები (Smart Villages)”-ს ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო ობიექტების და ბიზნესების დატანა/მონიშვნა GOOGLE MAP-ზე, ასევე - დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის და ბიზნესის მფლობელებისთვის უფასო ტრენინგის ჩატარება Google my business-ის გამოყენებასა და GOOGLE -ის სხვა სერვისებზე.

ჩვენი პროექტი სპეციფიკურია იმით, რომ ბიზნესებს უშუალოდ ადგილზე მისვლით, ინდივიდუალურად ვთავაზობთ დახმარებას და სწავლებას.

ბიზნესებს დავეხმარებით მათ საქმიანობაზე ინფორმაციის გავრცელებაში: Google-რუკაზე მათი ობიექტის მონიშვნაში, ასევე - უფასო სერვისებზე რეგისტრაციაში, რაც სრულყოფს რუკას და ადვილად საპოვნელს გახდის მათ ბიზნესს.

ახლა, როცა მსოფლიო პანდემიის პირობებში ბიზნესები კრიზისშია, დაიკარგა სამუშაო ადგილები და უფრო გართულდა თემის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაიონის პოპულარიზაციის ზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მცირე ბიზნესების შენარჩუნებას, დაეხმარება მათ კლიენტების მოზიდვაში. როცა ვიზიტორი რუკაზე მთელ ბიზნესებს ერთობლივად დაინახავს, გაიზრდება მისი ჩამოსვლის ალბათობა.

Google რუკაზე ხარისხიანი ინფორმაციის არსებობა გააადვილებს ასევე ახალი ტურისტული ბილიკების შექმნას და მონიშვნას, მათში თემის ჩართვას.

პროექტის განხორციელების შედეგად:

- მსოფლიო გაიგებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და მისი რესურსების არსებობაზე;
- რაიონი გახდება ცნობილი და ადვილად საპოვნელი;
- ბიზნესი გამოჩნდება საძიებო სისტემებში; მოხდება მისი იდენტიფიცირება სხვა ახლოს მდებარე ობიექტებთან;
- კლიენტს გაუადვილდება ინფორმაციის მოპოვება;
- პოპულარული გახდება ადგილობრივი პროდუქტები, სერვისები, ტურისტული ღირსშესანიშნაობები
- ბიზნესს გაუფართოვდება გაყიდვების გეოგრაფიული არეალი;
- ბიზნესი დაამყარებს კონტაქტებს ინტერნეტით და უშუალოდ მოიზიდავს ახალ კლიენტებს მუნიციპალიტეტში; გაუჩნდება წვდომა ახალ, მათ შორის, საერთაშორისო ბაზრებზე; შეეძლება გაიზიაროს სხვების გამოცდილება;
- კარგად შევსებული რუკით გაადვილდება მოძრაობა და საჭირო ბიზნესთან მისვლა.
- ხელი შეეწყობა კოორდინაციას სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის
- მუნიციპალიტეტი განვითარდება კომპლექსურად: მეურნეობის და მომსახურების ყველა დარგი ჩაებმება გაყიდვების ჯაჭვში, შეიქმნება ახალი სერვისები და პროდუქტები;
- დაიწყება ონლაინ გაყიდვები და გაიზრდება რეალური გაყიდვები.
- შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.
- ხელი შეეწყობა ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას.
- მთლიანად პროექტის შედეგები დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.
- თემს და მის სოციალურად დაუცველ ფენებს გაუჩნდებათ ინფორმაცია ახალი პროდუქტების და სერვისების დანერგვის შესაძლებლობების შესახებ.

დედოფლისწყაროს მთელ ტერიტორიაზე ვეძებთ ახალგაზრდებს, ვისაც ვასწავლით Google რუკასთან მუშაობას, ბიზნესების პროფილის მართვას და Google -ის სხვა სერვისებს.

დაინტერესების შემთხვევაში მეტი ინფორმაციის ნახვა შეიძლება პროექტის Facebook გვერდზე: https://www.facebook.com/Dedoplistskaro-on-Google-Map.

სარეგისტრაციო ფორმა შეიძლება შეავსოთ აქ: https://docs.google.com/forms/d/e /

მანანა ყატაშვილი,
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის მეუღლის,

ციური ზურაბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის მეუღლის,

ციური ზურაბაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის მეუღლის,

ციური ზურაბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ელზა და ელგა ხარაშვილები ოჯახებით, მაყვალა, შორენა, ციცია და გუჯა მამულაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ოთარ, რუსუდან, ნესტან და მერცი მამულაშვილებს მეუღლის და დედის -

მარინა კოჭლამაზაშვილ-მამულაშვილის

გარდაცვალების გამო.

გელა გველუკაშვილი ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ბიძაშვილის-

დევი დეისაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა მაყვალა, ძმა აკაკი, რძალი ელგა ხარაშვილი, ძმისშვილები-ალეკო , მაკო კოტაშვილები მწუხარებით იუწყებიან

ილია კოტაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა ქალაქ დედოფლისწყაროში.

ჰიბრიდული სწავლება - როგორ ერგება ის არსებულ სასწავლო გარემოს?

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა. ესაა სიახლეების, მუდმივი განვითარებისა და წინსვლის ეპოქა. ამ ტექნოლოგიურ ფერხულში მსოფლიოსთან ერთად, საქართველოს სკოლებიც აქტიურად არიან ჩართულნი და ცდილობენ, დანერგონ სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომელიც განუყოფელია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისგან. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე მსოფლიო მიიყვანა სწავლების ისეთი უახლესი ფორმების დანერგვამდე, როგორიც არის ელექტრონული, ონლაინ და შერეული / ჰიბრიდული სწავლება.

კორონავირუსის პანდემიამ თავისთავად საგანმანათლებლო სისტემებიც გადააწყო. შესაბამისად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების ახალი წესი და პირობები დამტკიცდა. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური გახდა ე.წ. „ჰიბრიდული სწავლების“ მოდელის გამოყენება, დისტანციური სწავლების მოდელის, რომელიც ითვალისწინებს დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაციას; ეს, ზოგ შემთხვევაში, გულისხმობს იმას, რომ ერთდროულად გაკვეთილი შეიძლება ტარდებოდეს, როგორც საკლასო ოთახსა თუ აუდიტორიაში, ისე – დისტანციურად. ასეთ დროს მოსწავლეები ონლაინ არიან ხოლმე ჩართულები იმავე დროს, სინქრონულ რეჟიმში, პირისპირ მოსწავლეების საკლასო ოთახში. ზოგ შემთხვევაში ჰიბრიდულ სწავლებაში გულისხმობენ ხოლმე სასწავლო პროცესს, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე კურსის ორ სხვადასხვა ფორმატში სწავლებას, ოღონდ არა მაინცდამაინც ერთდროულად. ასეთ დროს მასწავლებელი სხვადასხვა დროს ატარებს მეცადინეობას ერთი კურსის ორი ჯგუფისთვის. ერთი პირისპირ სწავლობს, ხოლო მეორე კი – ონლაინ.

როგორ ხდება არსებული მოდელის არჩევა?

დისტანციური სწავლების მოდელს თავად სკოლა ირჩევს და ათანხმებს შესაბამის რესურცენტრთან, ამავე წესით განსაზღვრული განაცხადის ფორმით. იმ შემთხვევაში თუ სკოლის მიერ გათვალისწინებული განაცხადით სკოლა ირჩევს დისტანციური სწავლების მოდელს, აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ნებისმიერი მოდელის არჩევის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი დისტანციური სწავლების სასკოლო საათობრივი ბადე. სწავლების წესში დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება მთლიანად სკოლას ევალება, პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სკოლის დირექცია, ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტრული ერთეულები - საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. ჰიბრიდული დისტანციური სწავლების შემთვევაში სკოლა ადგენს საგაკვეთილო ცხრილს თითოეული საკლასო ჯგუფისთვის, თითოეულ საგანში, რომელშიც მითითებულია გაკვეთილების ჩატარების ფორმა: დისტანციური ან დასწრებით, ასევე გასნაზღვრავს საკლასო განაყოფებს დასწრებითი გაკვეთილებისთვის. საჯარო სკოლაში ჰიბრიდული დისტანციური სწავლების შემთხვევაში, დასაშვებია კლასის გაყოფა დასწრებით გაკვეთილების დაგეგმვისას, ხოლო დისტანციური გაკვეთილების ჩატარება რეკომენდირებულია მთელი საკლასო ჯგუფისთვის. დისტანციური გაკვეთილის რეკომენდებული ხანგრძლივობაა: ა) I-IV კლასებში -15-20 წუთი; ბ) V-IX კლასებში - 25-30 წუთი; გ) X-XII კლასებში -35-40 წუთი.

მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევების თანახმად, შერეული ან ჰიბრიდული ტიპის სწავლება ყველაზე ეფექტურად ითვლება. ამ დროს მოსწავლეები XXI საუკუნის უნარებს (კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაციები და სხვა), რომლის დროსაც მოსწავლე ცოდნის მიმღებიდან, საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ იქცევა. კვლევებმა დაადასტურა, რომ შერეული სწავლება ამაღლებს მოსწავლეების ცოდნას, აუმჯობესებს მათ დისციპლინასა და სკოლისადმი დამოკიდებულებას. ასევე ის მომგებიანი ფინანსური თვალსაზრისითაც არის. გარდა ამისა, შერეულ სწავლებას აქვს რამდენიმე ძირითადი უპირატესობა, მაგალითად, როგორიცაა სასწავლო პროცესში თანამშრომლობისათვის მოქნილობა სივრცესა და დროში, ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების ინკორპორირება (ჩართვა), ასევე ცოდნისა და უნარების გადაცემის დაბალანსების შესაძლებლობა. სხვადასხვა პირისპირ და ონლაინ სწავლების მეთოდებიდან და ინსტრუმენტებიდან შესაბამისი მიქსის მოძიება არის გასაღები წარმატებული სასწავლო კურსის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. შერეული სწავლების მიდგომა მოითხოვს ტექნოლოგიური ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების უპირატესობის და მათი თავსებადობის დეტალურ განხილვას პედაგოგიურ სტრატეგიებთან და სასწავლო მიზნებთან.

თუმცა, რამდენადაც მორგებულია ჰიბრიდული სწავლება პანდემიურ სასწავლო გარემოს, იმდენად ჩნდება კითხვები, როგორც საგაკვეთილო ბადის დახვეწილობის, ასევე მასწავლებლის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ფაქტობრივად, გაორმაგებული ენერგიით ცდილობენ ცოდნის მოსწავლეებამდე მიტანას. „სამწუხაროდ, დღეს ყველა სფეროში და მათ შორის განათლების სისტემაშიც ადამიანები იმყოფებიან რეალობაში, რომელიც ძალიან განსხვავდება იმისაგან, რაც ერთი წლის წინ სასწავლო დაწესებულებებში იყო. დღეს მათ უწევთ ბევრი ისეთი წესის დაცვა, რომელზეც ადრე საერთოდ არ უფიქრიათ. ახალი გარემო, როგორც წესი, გარკვეულ დროს და ძალისხმევას საჭიროებს ადაპტირებისათვის, რაც ბუნებრივია თავის კვალს ამჩნევს სასწავლო პროცესს. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ის ბავშვები, რომლებიც სკოლების პირისპირ სწავლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, მშობლების მოთხოვნის გამო ჯერჯერობით ისევ დისტანციურად აგრძელებენ სწავლას და რომლებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში არიან. რასაკვირველია, არც მათთვის დარჩა სასწავლო გარემო ისეთივე, როგორიც თუნდაც რამდენიმე კვირის წინ იყო და მათაც სჭირდებათ ამ ახალ გარემოსთან შეგუება. სულ ცოტა ხნის წინ, დისტანციური სწავლების დროს ისინი მთელ კლასთან ერთად ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში, ყველა ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს თითოეულ მათგანს უადვილებდა იმ სირთულეების გადალახვას, რაც ბუნებრივად ახლავს ონლაინსწავლებას. ახლა კი, სახლში დარჩენილი და უმცირესობაში მყოფი ბავშვები, თუ ჰიბრიდულ გაკვეთილს ესწრებიან, ეკრანიდან ადევნებენ თვალს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესს, ერთმანეთთან შეხვედრით და ერთად ყოფნით გახალისებულ, გალაღებულ, მხიარულ თანაკლასელებს და ბევრად უფრო დიდ დისკომფორტს განიცდიან, ვიდრე მაშინ, როდესაც მთელი კლასი ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ერთად ერთვებოდა ონლაინ სწავლებაში. ასეთი ბავშვები ვერც მაშინ გრძნობენ თავს კომფორტულად, როცა ონლაინ გაკვეთილები ცალკე, თანაკლასელებისაგან განცალკევებულად უტარდებათ, გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში მეგობრებს სრულიად მოწყვეტილები არიან, რაც მათ სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე სასიკეთოდ ნამდვილად არ აისახება. უნდა ითქვას, რომ ჰიბრიდულმა სწავლებამ პედაგოგებიც სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. ჰიბრიდულ გაკვეთილი, სადაც პედაგოგმა არც საკლასო ოთახში მყოფ ბავშვებს უნდა მოაკლოს ყურადღება, მართოს მათი სასწავლო საქმიანობა და არც საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რეჟიმით ჩართული მოსწავლეები დარჩეს უყურადღებოდ, საოცრად დიდი ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიის ხარჯვას მოითხოვს მასწავლებლისგან. საკლასო ოთახში გაკვეთილების ჩატარების შემდეგ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილთან ონლაინ გაკვეთილების ჩატარება არანაკლებ დიდი დატვირთვაა პედაგოგისთვის. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ასეთი რეჟიმით მუშაობა დიდი ალბათობით გამოიწვევს მასწავლებლის პროფესიულ გადაწვას, გამოფიტვას, რაც ბუნებრივია სასწავლო პროცესის ხარისხზე აუცილებლად აისახება. ამდენად, ჰიბრიდული სწავლების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში კარგი იქნება, თუ ერთი და იმავე პედაგოგს არ მოუწევს პირისპირ სწავლების პარალელურად ონლაინ გაკვეთილების ჩატარება და მასწავლებლებს შორის მოხდება შრომის ერთგვარი გადანაწილება, რაც დადებით ასახვას ჰპოვებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. ამასთან, ასეთი მიდგომით პედაგოგის როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად იქნება დაცული. “ -ნათქვამია, ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, დისტანციურ სწავლებას, რომელიც დღეს ასე აქტიურად გამოიყენება, აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები, მასში შეიძლება, როგორც ბევრი დადებითის, ასევე უარყოფითის პოვნაც. ასე რომ, თუ ჩვენ გვინდა დისტანციური სწავლების ეფექტიანობის გაზრდა, შევეცადოთ სწავლების ამ ფორმის ძლიერ მხარეებზე გავამახვილოთ ყურადღება და მისი საშუალებით სუსტი მხარეების დაძლევაზეც ვიზრუნოთ.

p.s ***რა თქმა უნდა, ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს ჰიბრიდული სწავლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებში გაზეთი „შირაქი“ დაუკავშირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ეთერ ზურიკაშვილს. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, მან ჩვენთან კომენტარი ვერ გააკეთა. იმედია, მომავალში მეტი სიცხადისთვის შევძლებთ მასთან გასაუბრებას, რითაც კიდევ ერთხელ მიიღებს ჩვენი მკითხველი ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო გარემოს შესახებ.***

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 29.11	სამშაბათი 30.11	ოთხშაბათი 01.12	ხუთშაბათი 02.12	პარასკევი 03.12	შაბათი 04.12	კვირა 05.12
დღე	15°	18°	16°	5°	9°	12°	10°
ღამე	5°	8°	3°	0°	-2°	0°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.